

ცირკი განთიადისას

ადრეულ შემოდგომაზე, სექტემბერში, მაშინ, როდესაც ქალაქში დიდი ცირკი – ძმები რინგლინგების, რობინზონის, ბარნუმისა და ბეილის შოუები – უნდა ჩამოსულიყო, (თუ მე დილის გაზეთები მქონდა დასარიგებელი სწორედ იმ დღეებში, როცა ცირკი ჩამოდიოდა), გიჟივით გაგქანდებოდი ხოლმე ჩემი ჩვეული მარშრუტით ცივსა და აკანკალებულ სიბნელეში, ისეთში, გარიჟრაჟს რომ უძღვის წინ, და შემდეგ შინ ვბრუნდებოდი ჩემი ძმის გასაღვიძებლად.

აღელვებული, დაბალი ხმით ვსაუბრობდით და თან სექტემბრის ფოთლების შრიალში სწრაფად მივიკვლევდით გზას ისევ ქალაქისაკენ. ცივი ქუჩები ნათდებოდა დღის პირველი, არამიწიერი, იდუმალი და ჩუმი სინათლით, რომელმაც თითქოს მოულოდნელად დიდებული დედამიწა წყვდიადში აღმოაჩინაო, თითქოს საშინელ, მომხიბლავ და უძრავ მდუმარებაში ჩნდებოდა მიწა. ვიდაც სისარულისა და უნდობლობის განცდით, ისეთით, როგორც ალბათ პირველ ადამიანებს სჩვეოდათ, კარგად აკვირდებოდა, თუ რა ხდებოდა ამ დროს, რომ ეს ყოველთვის, სიკვდილამდე ხსომებოდა.

გაქვავებულ მოედანთან, კუთხეში, იქ, სადაც ეს-ესაა ჩნდებოდა განთიადის შუქზე მამაჩემის პაწაწინა, საცოდავი, მოჩვენებასავით უცნაური მარმარილოს მაღაზია, მე და ჩემი ძმა ვაჩერებდით პირველივე გამკლელ მანქანას, რომელსაც ცირკისკენ აეღო გეზი, ან ვინმე ავტომობილიანი ნაცნობი გვხვდებოდა და მივყავდით.

შემდეგ, როცა ბინძურ, მოყანყალებულ, დანჯღრეულ ავტობუსის გაჩერებას მივალწევდით, გადმოვდიოდით მანქანიდან და სწრაფად ვკვეთდით სადგურის სკვერის ბილიკს. იქ გავლისას ჩამწკრივებული ორთქმავლების შუქი და ორთქლი გვჭრიდა თვალს. და დროდადრო გვესმოდა სატვირთო მატარებლების ძრავების, საყვირების, ზარებისა და რკინიგზის ხმები.

ამ ნაცნობ ხმაურს, რომელიც დილის, გამგზავრების, მოგზაურობისა და ბრწყინვალე, მოელვარე ქალაქების წინაგრძობითაა სავსე, მატარებლების მძაფრ, ამღელვებელ სურნელებას – ნახევრადამწვარი ნახშირის სუნსა და ძველი, დაუანგული სატვირთო მანქანების მძაფრ ბოლს – ახლა ემატებოდა ყუთების სუფთა ფიჭვის ხის, ახალთახალი საკვების – ფორთოხლის, ყავის, მანდარინის, ბეკონის, შაშხის, ფქვილისა და საქონლის ხორცის – დაუწყარი მიმზიდველობის მქონე ნაცნობი სუნი, ჩამოსული ცირკის ყველა უცნაური ბგერა და სურნელება.

გრძელ რიგად ჩამწკრივებულიყო მხიარული, ყვითელი, მდიდრული მანქანები, სადაც ვარსკვლავი მსახიობები ცხოვრობდნენ და იძინებდნენ, და სადაც ჯერ კიდევ უკუნეთ სიბნელესა და მძიმე სიჩუმეს დაესადგურებინა. მათ გარშემო გამეფებულ წყვდიადში ახლადჩამოსული ცირკის გამაღებელი დაბანაკება-დაბინავების ხმები მოისმოდა. მიწურული ღამის იასამნისფერი უკან-უკან იხევდა და იქაურობა ღომების სასტიკი ბლავილით, დიდი, გარეული კატების უეცარი წამოკნავლებით, სპილოების ღრიალით, ცხენების ჭიხვინით და ასევე გარეული ცხოველების – მუქი ყვითელი აქლემის, პანტერების, ზებრების, ვეფხეების, სპილოებისა და დათვების – უჩვეულო, მძაფრი სუნით ივსებოდა.

მერე, გზის გასწვრივ, მატარებლის გაყოლებაზე გაისმა ცირკის კაცების მკვეთრი შეძახილები, ჩხუბის, აყალ-მაყალის ხმები. სანათები ცეკვავდნენ სიბნელეში, რასაც მოულოდნელად მოჰყვა სავსე ვაგონების მძიმე ზათქი, თითქოს ღიანდაგიდან გადაცვივდნენო. ყველგან, სიბნელისა და სიფხიზლის ამღელვებელ იდუმალებაში, იგრძნობოდა ერთი მხრივ, დაბნეული, მეორე მხრივ კი, მოწესრიგებული მოძრაობის საშინელი წინააღმდეგობა.

ნაცრისფერ-რკინისფერი დიდი ცხენები, ხუთ-ხუთი თუ ექვს-ექვსი, ჯგუფ-ჯგუფად მძიმედ მიიწევდნენ თეთრ მტვრიან გზაზე ჯაჭვების ჩხრიალითა და ნალების

თქარა-თქურით თავიანთი მხედრების უხეში შეძახილების ფონზე. კაცებს ბილიკებს მიღმა, მდინარის პირას ჩაჰყავდათ ცხოველები დასარწყულებლად. გათენებისთანავე დაინახავდით ნაცნობ მდინარეში მძიმედ ჩაშვებულ სპილოებსა და წყურვილის მოსაკლავად დინჯად და ფრთხილად მიმავალ დიდ ცხენებს.

შემდეგ ცირკის ტერიტორიაზე საოცარი სისწრაფით იშლებოდა კარვები. აქ (გზის განაპირას მდებარე ქალაქის ერთადერთ მოსწორებულ ადგილზე, რომელიც საკმარისად დიდი იყო ცირკის განსათავსებლად) იწყებოდა მკაცრად აჩქარებული, უღმობელი, გამძვინვარებული მზადება, გამალებული ჩოჩქოლი, მოწესრიგებული უწესრიგობა, საყოველთაო ორგანიზებული არეულობა. ცირკის გაზის სანათურების კაშკაშა შუქი ანათებდა მეეტლეების დამჭკარ, გამომშრალ, ხმელ და გაცვეთილ სახეებს, როცა ისინი ციგებს სამაგრებზე ამაგრებდნენ, სამაგრებს კი მიწაში არჭობდნენ. ამას ისეთი რიტმულად მოწესრიგებული მოძრაობითა და არნახული სისწრაფით აკეთებდნენ, გეგონებოდათ მოძრავი სურათის აჩქარებულ ფიგურებს უყურებთო. და ყველაფერი, რასაც კი შუქი მოხვდებოდა თუ მზე მიანათებდა, მოწესრიგებულობისა და დაუნდობლობის ჯადოსნურ სცენად გადაიქცეოდა. მწვრთნელები ილანძვებოდნენ, ყვიროდნენ, მათთვის დამახასიათებელი, სპეციფიკური ენით მიმართავდნენ თავიანთ გუნდებს, გაზის ძრავების ხმამაღალი, აქოშინებული, არათანაბარი მუშაობა, უფროსების ღრიალი და ლანძვვა-გინება უერთდებოდა მძიმე ჯაჭვების ჟღერსა და ადგილიდან დაძრული ეტლების ფიცრების ჭრიალს.

მტვრიან მიწაზე უზარმაზარ, ღია, სივრცეში ეტლებს ძირითადი საჩვენებელი ტენტისკენ მიაქანებდნენ. სპილო მძიმედ მიბარბაცებდა მინდვრისკენ, ნელა ხრიდა დიდ მოქანავე თავს მის კეფაზე წამომჯდარი მწვრთნელის ნიშანზე. ერთი-ორჯერ ზემოთ აღმართა ნაცრისფერი, დანაოჭებული ხორთუმი. და შემდეგ მოღუშულმა შემოავლო ის კარვის ბოძს იალქანივით. მერე ნელა შემობრუნდა და ბოძიც თან გამოიყოლა, ისე მსუბუქად, თითქოს ასანთის ღერიყო.

როცა ეს ჩემმა ძმამ დაინახა, ხარხარი მორთო და თავისი უხეში თითები ნეკნებში მოუხერხებლად შემირჭო. იქვე იყო ორი ქალაქელი ზანგიც, რომლებიც სპილოს დასიებული თვალებით შეჰყურებდნენ, ერთმანეთისკენ შებრუნდნენ და მაიმუნებივით გაიკრიჭნენ, მუხლები შემოჰკრეს ერთმანეთს და ხმამაღალი, ზანგებისთვის ჩვეული სიცილით აყმუყლდნენ, თან საუბარიც გააბეს:

– ის თამაშობს ამით, არა?

– არა, არა, ბიჭო!

– არ ამბობს „დამაცადე ერთი წუთით“?

– არა, იცი, რას ამბობს: „გამომყევით“ – აი, ამას ამბობს.

– ის ამბობს ჯადოსნურ სიტყვებს „ალხოს, მალხოს, ჩალხოს...“! – თქვა ერთმა და თან თავისი მუქი სახე მიწისკენ დახარა, თითქოს რაღაცას ეძებო.

– ის მიწის ამოთხრას აპირებს! – თქვა მეორემ და თავით შესაბამისი მოძრაობა გააკეთა.

– ის ამბობს „ფრუტ-ფრუტ“! – თქვა ერთმა.

– ის ამბობს „კაცო, ჩვენ ჩვენს გზას ვადგავართო!“ – უპასუხა მეორემ.

– ჰეი, ჰეი, ჰეი, ჰეი! – თქვეს და სულის შეხუთვამდე, ხმამაღლა ისორხოცეს, თან თაძოების ქნევით აჯავრებდნენ სპილოს და მის მიერ ჩადენილ გმირობას.

ამასობაში გამართეს უზარმაზარი ბრეხენტი გადახურული ცირკის სასაუზმე-ტენტი, რომელსაც გვერდები არ ჰქონდა დაფარული და ჩვენ შეგვეძლო დაგვენახა, როგორ შეექცეოდნენ საუზმეს გრძელ გაშლილ მაგიდებთან მიმსხდარი მსახიობები. იმ საჭმლის გემო და სუნი, ხორციანობა და წვნიანობა, რასაც ისინი მიირთმევდნენ – ჩვენს აღფრთოვანება-აღელძევებასთან შეზავებული, ცხოველების რაღაც ჯანსაღ, მძაფრ სუნთან ერთად, რომელიც ჩამოსული ცირკისა და დილის დიდებულებასთან, სიხარულთან, იღუმალებასთან, საზეიმო, ჯადოსნურ მომხიბვლელობასთან ირეოდა – ყველაზე მადისაღმძვრელ, ყველაზე გონებისდამკარგველ სურნელებად და ყველაზე განსაკუთრებულსაკმაზიან გემოდ გვეჩვენებოდა, რაც კი ოდესმე გვეგემა.

ვხედავდით, როგორ შეექცეოდნენ მსახიობები ამ შესანიშნავ და საშინელ საუზმეს, ძალაუფლების და სიძლიერის ყველა უხეში, ველური არომატით: შემწვარ ბივშტექსს და ღორის კოტლეტებს, ბეკონს და ღორს, ათეულობით კვერცხს, შემწვარ ქათმებს, ნამცხვრის უზარმაზარ ნაჭრებს, ჟონგლიორის სითამამით რომ ათამაშებდა ხელში მზარეული, ხოლო ჩაფსკვნილი მიმტანი ქალი მაგიდებისკენ მიაქანებდა გადავსებული სინებით, რომლებიც მაგარი ხელით ზეადემართა და არაჩეულებრივი წონასწორობით დაჰქონდა. ხორციანი საჭმლის ყველა ამ გემრიელ, გასაოგნებელ სუნს ერთი კეთილსუნელება მაინც ფარავდა – უპიკანტურესი და უმკვეთრესი – ეს იყო მოდულეებული მუქი ყავის არომატი, უზარმაზარი ელექტრო მადულარადან ღრუბლების ფორმის ორთქლს რომ მოჰყვებოდა. ცირკის მსახიობები ჭიქას ჭიქაზე ცლიდნენ.

თითოეული მსახიობი ქალი და კაცი – ვარსვლავები – ისე კარგად გამოიყურებოდნენ, ისეთი წარმოსადგენი, ლამაზები იყვნენ, ისეთი სერიოზული სახეებით საუბრობდნენ და მოძრაობდნენ, ისეთი ღირსებით, მკაცრი გარეგნობითა და თავდაჭერილობით, ისეთი დახვეწილი მანერები ჰქონდათ, რომ ფუფუნებაში ჩაფლული მათი ცხოვრება საოცრად მომხიბვლელად და ლამაზად გვეჩვენებოდა. მსახიობების ქცევაში არაფერი იყო მოუწესრიგებელი, ვულგარული, უხეში. არც მსახიობი ქალები ჰგავდნენ ქუჩის ქალებს, უწესოდ არ იქცეოდნენ კაცებთან.

აშკარა იყო, რომ ამ ადამიანებმა რაღაც საოცარი გზით მოახერხეს შეექმნათ საკმაოდ მყარი გაერთიანება, რომელიც ორგანიზებულად ცხოვრობდა ბორბლებზე და გამუდმებით გადაადგილდებოდა, თუმცა ერთმანეთში ისეთი მტკიცე და ერთგული ურთიერთობა ჰქონდათ, როგორსაც დიდ ქალაქებში მცხოვრები ოჯახებიც კი ვერ ინარჩუნებდნენ. ძლიერი, ათლეტური აღნაგობის მამაკაცი, ქერათმიანი მომხიბვლელი ქალი ამორძალის ტანით, შუახნის ჯმუხი კაცი, რომელსაც მკაცრი, ნაოჭებიანი, პასუხისმგებლობით აღსავსე სახე და მელოტი თავი ჰქონდა – სავარაუდოდ, ტრაპეციის¹ გუნდს წარმოადგენდნენ – ახალგაზრდა კაცი და ქალი გასროლილი ტყვიებივით დაქროდნენ აქეთ-იქით, ხვდებოდნენ შედარებით უფროს მამაკაცს და შემდეგ ისევ თავიანთ პოზიციას უბრუნდებოდნენ, ჰაერში სამჯერ შემოტრიალდებას ახერხებდნენ. ეს იყო წონასწორობისა და სიზუსტის იშვიათი სანახაობა.

თუმცა, როდესაც სასაუზმოდ მოვიდნენ, ტენტის ქვეშ სერიოზულად დასხდნენ, სხვა მსახიობებს ზრდილობიანად გამოელაპარაკნენ. ერთ-ერთ მაგიდასთან ერთი ოჯახივით მოთავსდნენ. საუზმეს ყურადღების მთელი კონცენტრაციით შეექცეოდნენ, ერთმანეთსაც კი იშვიათად გადაულაპარაკებდნენ.

მე და ჩემი ძმა მოხიბლულნი შევეყურებდით მათ. ჩემმა ძმამ თავმოტკლექილ კაცს გახედა, მერე მომიტრიალდა და ჩამწურჩულა:

– ხ-ხ-ხ-ედავ იმ მ-მ-ელოტ კაცს? ის ს-ს-სერიოზული კაცია. ამას უ-ჭ-ჭ-ჭირავს ესენი! იცის თ-თ-თ-ავისი საქმე. იცი, რა მოხ-ხ-ხ-დება, ეს რ-რ-რომ არ იყოს? – თქვა ჩემმა ძმამ.

– რა? – ვიკითხე ინტერესით.

ჩემმა ძმამ თითები დაატკაცუნა ჰაერში.

– ყ-ყ-ყველაფერი დ-დ-დ-დამთავრდება! ისინი დაიხოცებიან, სანამ აზრზე მოვლენ და შ-შ-შ-შეიტყობენ, რა დაემართათ. მართლა! – თქვა და ენერგიულად დააქნია თავი – ეს ფ-ფ-ფ-ფაქტია. თუ ის ოდესმე აღარ იქნება, მორჩა, გათავდა! აი, ის ბ-ბ-ბ-ბიჭი იცნობს თავის გ-გ-გ-გუნდს. რა? არ გჯერა? – და დაბალი ხმით იშვიათი დარწმუნებულობით დაამატა – არ გ-გ-გ-გამიკვირდება, თუ ამ ბ-ბ-ბ-ბიჭს სამოცდათხუთმეტ ან თუნდაც ას დ-დ-დოლარს უხდიან კვირაში! ეს ფ-ფ-ფაქტია! – დაასკვნა ჩემმა ძმამ.

¹ ტრაპეცია – ცირკში სატანვარჯიშო იარაღი – წყვილი ბაგირით ჩამოკიდებული პორიზონტალური ღერძი.

ისევ აღტაცებით შევეყურებით ამ დიდებულ, ცნობილ, რომანტიკულ არსებებს, რომელთა ცხოვრება ასე განსხვავდებოდა ჩვენი ცხოვრებისაგან, და რომელთაც თითქოს ასე ახლოს და კარგად ვიცნობდით. როდესაც მზე ამოიწვერა და ყველაფერი ბოლომდე განათდა, ზღაზღვნივით, უქეიფოდ დავტოვეთ საცირკო მოედანი და შინისაკენ წავედით.

ყველაფერ იმის ხსოვნამ, რაც ამ დიდებულ დილას მოვისმინეთ და ვნახეთ, სასაუზმე-ტენტის გახსენებამ თავისი შესანიშნავი სუნებით რატომღაც ისეთი საშინელი შიმშილის ტანჯვა მოგგვგვარა, რომ სახლამდე ვეღარ მოივითმინეთ. ქალაქში ერთ-ერთ სასაუზმეში შევედით, ბარის მაღალ სკამებზე დავსხედით, ხარბად დავეწაფეთ ღორისა და კვერცხის სენდვიჩებს, ცხელ ჰამბურგერებს წითელი, ცხარე შუაგულითა და დაბალხარისხიანი ხორცივით, ყავას, თითო ჭიქა რძეს და ფუნთუშებს. შემდეგ კი გავემართეთ სახლისკენ, რომ ყველაფერი შეგვეჭამა, რასაც კი საუზმის მაგიდაზე დავინახავდით.

ინგლისურიდან თარგმნა
ნინო დოლიძემ